საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრი

პირველად იყო სიტყვა

სამეცნიერო-ანალიტიკური კვლევა საზოგადოებრივი
განვითარებისა და უსაფრთხოების საკითხებში

თბილისი
2016

პირველად იყო სიტყვა - შემეცნებითი, სამეცნიერო-ანალიტიკური კვლევა საზოგადოებრივი განვითარებისა და უსაფრთხოების საკითხებში.

ნაშრომი განკუთვნილია სამეცნიერო-კვლევითი და ანალიტიკურ-შემეცნებითი მიზნებისათვის, რომლის სხვაგვარად გამოყენებისათვის ავტორი და გამომცემელი პასუხს არ აგებენ. დაუშვებელია ნაშრომის რომელიმე ნაწილის კოპირება და გავრცელება ავტორთან წერილობითი შეთანხმების გარეშე. აღნიშნული ქმედება ჩაითვლება საავტორო უფლებების უხეშ დარღვევად და გამოიწვევს სამართლებრივ პასუხისმგებლობას დამრღვევის მიმართ.

ნაშრომში და ნაშრომთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციისათვის, შეგიძლიათ მიმართოთ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკურ ცენტრს ელექტრონული ფოსტით: info@psac.ge ან გაეცნოთ ვებ-გვერდს: www.psac.ge

რეცენზენტები: ფილოსოფიის დოქტორი,
თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი ***დავით თევზაძე***

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თადარიგის გენერალ-მაიორი ***თენგიზ შუბლაძე***

სტუ-ის კოსმოსური ტრანსფორმირებადი
კონსტრუქციების განყოფილების უფროსი
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ***შოთა წეროძე***

რედაქტორი: ლია ბადურაშვილი

გამოცემულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრის მიერ.

© გიორგი გრატიაშვილი, 2016

ISBN 978-9941-0-8811-7

წინასიტყვაობა

"ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მოფენად მშვიდობისა ქვეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა" (მათ. 10,34)

ნაშრომი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ანალიტიკური ხასიათისაა და მიზნად ისახავს, საზოგადოებრივი განვითარებისა და უსაფრთხოების საკითხების კვლევას. იგი, თავისი არსით, შეიძლება ითქვას რომ, კოსმოლოგიის სფეროს განეკუვნება, რომლის ძირეულ საკითხებსაც, ზოგადად მეცნიერება, ფილოსოფია, რელიგია, ფიზიკა, მეტაფიზიკა და ეზოთერიკა წარმოადგენს. კვლევების დანიშნულებაც, სწორედ ამ ზემოხსენებული მეცნიერებების და მათი სინთეზისა და ანალიზის საფუძველზე აღმოცენებული მსოფლმხედველობის წარმოჩენაა, ჩვენივე წარსულის, აწმყოს და მომავლის კუთხით. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს, სამეცნიერო-კვლევითი და ანალიტიკური აზროვნების გაღვივებას საზოგადოების ფართო სპექტრში და სწრაფვას ჭეშმარიტების ძიებისაკენ, როგორც გლობალურ, ასევე პიროვნულ დონეზე, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ურთიერთდამოკიდებულ პროცესს წარმოადგენს ადამიანისა და სამყაროს უსაფრთხოდ განვითარებაში.

ნაშრომში განხილული საკითხები, დაწყებული სამყაროს შექმნიდან და გაგრძელებული მისი განვითარებით, როგორც კაცობრიობის, ასევე ეთნოსის და კონკრეტულად ადამიანის წინააღმდეგ დასაბამიდან აღმოცენებული და დღემდე მოყოლილი საფრთხეების კვლევა, საინტერესო იქნება სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერი ფენისათვის. სხვა თუ არაფერი, თითოეულ ჩვენთაგანს შეუძლია აღმოაჩინოს საკუთარი თავი აღნიშნულ კვლევებში, ვინაიდან აქ მოკვლეული და გაანალიზებული ინფორმაცია, შედეგია ჩვენი და ჩვენი წინაპართა განვლილი გზის, მათი მსოფლმხედველობის და წარსულიდან ნამზერი მომავლის, რომელთა თავმოყრაც და აქცენტების სენსიტიურ საკითხებზე გამახვილება, საჯაროდ, ყოველთვის გვიჭირდა. ეს ნაშრომი ჩვენი ქვეყნის თითოეული წევრის საკუთრებაა, რომელშიც გადმოცემული, გაანალიზებული და დასკვნების სახით მოყვანილი რეალობის მიღება/არ მიღება მემკვიდრეობით ნაბოძები უფლებაა.

ნაშრომში მოყვანილია მრავალი მეცნიერისა და ეროვნული მოღვაწის, მათ შორის დღეს უკვე წმინდანად აღიარებული პიროვნებების და წმ. მამათა შეხედულებების

სინთეზი და ანალიზი ჩვენი უსაფრთხო და სწორი განვითარებისათვის. განხილულია და გაანალიზებული როგორც წარსულის, ასევე მომავლის საფრთხეები და მოსალოდნელი შედეგები და მათი თავიდან არიდების გზები. გამახვილებულია ყურადღება სამყაროს სიკეთეებზე ადამიანის მიმართ, როგორც აუცილებელი პირობა უსაფრთხო და ჰარმონიული არსებობისათვის და მრავალი სხვა თემატური საკითხი.

დიდ იმედს გამოვთქვავ, რომ ნაშრომი სტიმულს მისცემს ჩვენი ქვეყნის შვილებს, "მიძინებული" გონების გამოფხიზლებაში და უსაფრთხო და სწორი გზის არჩევაში, ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნისა და მომავლის საკეთილდღეოდ.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრის

დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი, დოქტორი გიორგი გრატიაშვილი

ფილოსოფიის დოქტორი
თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი *დავით თევზაძე*

ახალგაზრდა მკვლევარის, მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის დოქტორის, გიორგი გრატიაშვილის წიგნი ეხება ზოგადად ადამიანის და კონკრეტულად ქართული ეთნოსის უსაფრთხო და ჰარმონიული განვითარების ავტორისეულ ხედვას. ეს ხედვა კოსმოლოგიური უფროა, ვიდრე ფილოსოფიური, შესაბამისად, ავტორი ბიბლიიდან იწყებს: "პირველად იყო სიტყვა" წიგნში თეზისია, საიდანაც სიტყვის ქმნილების, ანუ მატერიალური სამყაროს განვითარებაა აღწერილი, ხოლო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, ენერგიის სახეობად მიჩნეული ინფორმაცია გვევლინება. აქედან გამომდინარე, წიგნში განხილულია მატერიალურ სხეულთა ურთიერთქმედება, კაცობრიობის მისწრაფებები, მისი აწმყო, წარსული და მომავალი, სახელმწიფოს დასუსტების და გადაგვარების მიზეზები. გადმოცემულია ცნობილი ფსიქოლოგის დ.უზნაძისა და მისი თანამედროვეების კვლევები ყურადღების, მეხსიერებისა და ცნობიერების ფენომენის შესახებ. გაანალიზებულია სახელმწიფოს მართვის მეცნიერული პრინციპები, საქართველოს დანიშნულება და ქართველობის არსი. საინტერესოდ იკითხება ადამიანთა დაპირისპირების ისეთი ფორმის, როგორიც ომია კოსმიური დაპირისპირების ჭრილში განხილვა. და ბოლოს, ავტორს მიაჩნია, რომ მან გახსნა ადამიანისათვის შექმნილი სამყაროს, სილამაზის აღქმის ფორმულა და თვისება, ჰარმონიული და უსაფრთხო ცხოვრებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, შესაძლოა, ნაშრომი ეკლექტიკური გვეჩვენოს, მიგვაჩნია რომ ის საკმაოდ ინფორმატიულია და საინტერესოდ იკითხება. ზოგადად, ამდაგვარი ჰოლისტური ხედვა იშვიათად ხვდება ქართულ სააზროვნო სივრცეში და ფართო საზოგადოების ინტერესს აუცილებლად გამოიწვევს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
თადარიგის გენერალ-მაიორი *თენგიზ შუბლაძე*

საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამეცნიერო-ანალიტიკური ნაშრომი "პირველად იყო სიტყვა", არის მცდელობა იმ საკითხებზე ყურადღების გამახვილების, რაც ყოველი ადამიანის ფიქრის და განსჯის საკითხს წარმოადგენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და მუდმივად ცდილობს მათზე პასუხების ძიებას სვადასხვა გზების დახმარებით. კვლევის აზრიც სწორედაც, რომ იმ გზების, ან გზის ინტერპრეტირებაა, რომელსაც ძალუძს ქვეყნის და პიროვნების უსაფრთხოდ და ჰარმონიულად განვითარებისათვის ხელის შეწყობა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირ მათი მიღება არ წარმოადგენს ნაშრომის აზრს, პირიქით კვლევაში წარმოდგენილი თემები, მართლაც, რომ სენსიტიური განსჯის საკითხებია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს ყოველი ადამიანისაგან. აქ განხილული საკითხები და ცნობილი საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევები, წარმოადგენს საინტერესო ხედვას საზოგადოების უსაფრთხო განვითარების კუთხით და იძლევა საფუძველს რეალობისთვის სხვა კუთხით შეხედვის, რისთვისაც მართლაც და აუცილებელია ანალიტიკური აზროვნების გამოყენება და მოყვანილი ფაქტების გულდასმითი ანალიზი თვითოეული ადამიანის მიერ.

მიუხედავად ნაშრომის აბსტრაქტულობისა, კონკრეტულადაა შეფასებული წარსულის, აწმყოსა და მომავლის საფრთხეები კონკრეტულ მაგალითებზე. გაანალიზებულია ქვეყნის მდგომარეობა და მისი ფორმირების გზები, შედარებულია წარსულის სიდიადეები დღევანდელ მდგომარეობასთან და გამოტანილია მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები, უსაფრთხო გარემოს, სამოქალაქო საზოგადოების, ყოფასთან მიმართებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში მოცემული კვლევების ანალიზი საინტერესო საკითხავია, რაც მისი უბრალო ენით გადმოცემაზე მეტყველებს და გასაგებს ხდის რიგითი საშუალო განათლების მქონე ადამიანებისთვის.

ნაშრომში გაანალიზებული თემები, არა ერთი მეცნიერების საფუძველს წარმოადგენს და იძლევა დღევანდელი რეალობის საფრთხეების ერთგვარი ხედვისა და ინტერპრეტირების საშუალებას, რაც ისევ და ისევ საზოგადოების მხრიდან შესაბამის განსჯას და ანალიტიკური აზროვნების გამოყენების აუცილებლობას მოითხოვს.

აღნიშნული სამეცნიერო კვლევები საინტერესო იქნება ნებისმიერი საზოგადოებრივი ფენისა და დაინტერესებული მკვითხველისათვის.

სტუ-ის კოსმოსური ტრანსფორმირებადი
კონსტრუქციების განყოფილების უფროსი.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *შოთა წეროძე*

საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამეცნიერო-ანალიტიკური ნაშრომი "პირველად იყო სიტყვა", ზოგად საკაცობრიო საკითხებზე ყურადღების გამახვილების კარგი მცდელობაა და უხვადაა გაჯერებული არაერთი საზოგადოებრივი თუ სასულიერო მოღვაწის ნააზრევით. საზოგადოებრივი უსაფრხოების კუთხით მათი აზრების ინტერპრეტირება საინტერესო მიდგომას წარმოადგენს, რაც საშუალებას იძლევა გაანალიზებული საკითხები სხვა ჭრილში იქნას შეფასებული.

უდაოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ საკითხებს ღრმა ანალიზი და სპეციფიური ხედვა უდევს საფუძვლად და შესაბამისად დაინტერესებული მკითხველის მხრიდანაც იგივეს მოითხოვს. ანუ, ნაშრომი საკმაოდ საინტერესოა და სხვადასხვა მეცნიერულ მიდგომებთან მიმართებაში ანალიტიკური აზრის ჩამოყალიბებისა და ფორმირებისათვის სამაგალითოა.

ცხადია, რომ გაანალიზებული საკითხები დღეს არაერთი საზოგადო მოღვაწის თუ რიგითი მოქალაქის მტკივნეული განსჯის საგანია. წარმოდგენილი ნაშრომიც, რა თქმა უნდა შესაბამისი კუთხით, არაერთ ზოგადსაკოცობრიო თუ კონკრეტულ საკითხს ეხება. საკითხებს, რომლებიც როგორც ქვეყნის, ასევე თვითოეული ადამიანის სულიერ სტაბილურობას და მშვიდობიან ყოფას უნდა უზრუნველყოფდეს. ამ და მსგავს პრობლემებთან მიმართებაში კი წარმოდგენილი მასალის გასაანალიზებლად თუ უკეთ გასააზრებლად, ავტორი არაერთ კითხვას სვავს დაინტერესებული მკითხველისათვის.

მკითხველის ანალიტიკური აზროვნების განსავითარებლად და უსაფრთხოების საკითხთა განსხვავებულ ჭრილში წარმოსადგენად, ნაშრომი შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს თანამედროვე ყოფისათვის. კვლევის აზრიც სწორედ ჩვენი ისტორიული წარსულის ცოდნის გაანალიზებასა და დღევანდელ ყოფაში გადმოტანას ემსახურება. ყოველივე ეს კი აიძულებს მკითხველს გარკვეული დასკვნების გამოტანას და მათ ავკარგიანობის შეფასებას.

ქართველობის, როგორც ფენომენის და ადამიანის ყოველდღიური ნამოქმედარის განსხვავებული მეცნიერული კუთხით შეფასება კარგი მცდელობაა, რაც შესაბამისად იწვევს თვითოეული პიროვნების საკუთარ თავში ჩაღრმავების მცდელობას და მიღებული დასკვნების მართებულ ინტერპრეტირებას.

ვფიქრობ, რომ წარმოდგენილი სამეცნიერო-ანალიტიკური ნაშრომი საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს საზოგადოების ფართო ფენებისათვის.

მკითხველის ნააზრევი

აღნიშნული ნაშრომის მსგავსი სახით შექმნა ძალიან საინტერესო მიდგომაა და ფაქტიურად პირველია 21-ე საუკუნის საქართველოსთვის, რომელიც ძირითადად ეხება ადამიანის ბრძოლას და მის გონიერ არჩევანს კეთილსა და ბოროტს შორის.

ძალიან საინტერესო შედარებები და გადასვლებია გაკეთებული მოყვანილ თემებს შორის, და რაც მთავარია, გასაგებ ენაზეა გადმოცემული, რაც ნაშრომს ერთიორად საინტერესოს და ადვილად გასაგებს ხდის მკითხველთა ფართო წრისათვის.

დიდი მადლობა ავტორს კაცობრიობის წინაშე დამდგარი უდიდესი დილემის კიდევ ერთხელ სააშკარაოზე გამოტანისათვის. აღნიშნულ თემებზე ადამიანის დაფიქრების მიზანია ყოფიერების შეფასება და მაგალითის სახით, კვლევაში მოხსენიებული "ჭუჭყიანი საქმეებით" გამდიდრებული მილიარდერის სურვილის გაანალიზება, რომელიც ბოლოს მაინც წესიერებას ეძებდა. ეს მილიარდერი, ასევე შეიძლება შევადაროთ, მე-20 საუკუნის ერთ-ერთ გამოჩენილ ადამიანს, სტივ ჯობსს, რომელმაც, სიკვდილის წინ შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: "მე მქონდა ყველაფერი და თურმე არაფერიც არ მქონია, დავემსგავსე მარიონეტს და ყველაზე მთავარი, ადამიანური გრძნობები მივივიწყე". ამ ორი მდიდარი პიროვნების მდგომარეობის გაანალიზებით, მივალთ ანალიტიკურ დასკვნამდე, რომ ადამიანის არსებობის მიზანი არის წესიერება და მსახურება: ღმერთის, სამშობლოსი და ადამიანის.

სშმ-ის ოფიცერი
პაატა ჯიჯიეშვილი